გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულ სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## „ივერია"

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთ შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის აღკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 17 ივნისი

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესს გადუწყვეტია, შევკრათ პირობით ყველა სახელმწიფოს, რომელიც-კი დაგვთანხმდება, რომ დავიდარაბა მახვილით-კი არ გადავწყვიტოთ, არამედ მივმართოთ ხოლმე შუაკაცთა სამართალსაო. შტატების ასეთის დადგენილობის გამო ინგლისის პარლამენტში ბჭობა ჩამოვარდა. დეპუტატი კრემერი, რომელსაც სახელოვანმა მსწავლულმა ლებბოკმა მხარი დაუჭირა, შეეკითხა სამინისტროს, არ აპირობს მთავრობა, პირველსავე მოხერხებულ დროს, ხელი გაუწოდოს ამერიკას და პირობით შეკრას, შუა-კაცთა სამართალით გავათავოთ ყოველივე ურთიერთ შორის ატეხილი სადავო საქმეო.

გლადსტონს ამაზე უპასუხნია, რა თქმა უნდა, რომ მილიტარიზმი უდიდესი წყევლა-კრულვა და გმობაა ცივილიზაციისა, და ინგლისის მთავრობაც უკან არ დაიხევს, ოღონდ-კი აიცილოს თავიდგან განათლების ულმობელი მტერი—მილიტარიზმი. პალატა თანაგრძნობითა და დიდის სიამოვნებით ეგებება შტატების ასეთს განზრახვას და იმედიცა აქვს, რომ სიმპატიური განზრახვა კონგრესისისა სისრულეში იქმნება მოყვანილი. ამისათვის საჭიროა, უთქვამს გლადსტონს, ეხლავე დაარსდეს საშუალო საბჭო, რომლის წევრადაც უნდა იყვნენ ევროპის სახელმწიფოს წარმომადგენლნი. სადავო საქმეს საბჭო განიხილავს და, რასაკვირველია, ასეთი განხილვა საქმის მშვიდობიანად დატრიალებას დიდად დაეხმარება, რადგან ეგოისტური მისწრაფება კერძო სახელმწიფოსი უკან იქნება დაყენებული, სიმართლესა და საზოგადო ინტერესს-კი შესაფერი ადგილი დაეთმობა. ამისათვის არ შეიძლება არ თანავუგრძნოთ შუა-კაცების დახმარებით დავიდარაბის გასამართლებას, მაგრამ უებარი წამალი არც ეს არისო. ერთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლად საჭიროა ვეცადოთ, ისე გავწრთვნათ კაცის გონება და ჭკუა, რომ ადამიანმა გონივრულად, სამართლიანადა და დამშვიდებით ასწონ-დასწონს და დააფასოს თვისი მოთხოვნილება. თუ გონება ასეთს მიმართულებას მიიღებს, მილიტარიზმს თავისთავად ბოლო მოეღება და სამუდამოდ დაიმარხებაო.

ავსტრიის დელეგაციებშიაც იყო ლაპარაკი მშვიდობიანობისა და თოფ-იარაღის აყრის შესახებ. თუ-კი ავსტრი-ვენგრიას კარგი განწყობილება აქვს მეზობელ სახელმწიფოებთან, სთქვა ბუკოვინის დელეგატმა ლუპუტმა, მაშ მთავრობამ ითავოს, რომ ყველამ იარაღი აიხსნას; აიხსნას, რადგან ამოდენა ხარჯმა სული ამოგვართვა და წელში გასტეხა სოფლის მკვიდრიო. ასეთი საქმე რომ ითავოს ავსტრი ვენგრიამ, ენით გამოუთქმელ სამსახურს გაუწევს სახელმწიფოსაც და თვით კაცობრიობასაცაო.

პასუხად გრაფ კალნოკიმ ლუპუტს ის უთხრა, რომ თქვენი სურვილი ოცნებაა, უტოპია, გარემოება ეხლა ისეთია, რომ იარაღს ხელიდან არავინ გაუშვებს, და ვინც პირველად ამას მოიქმედებს, თავისისავე ხელით ყელს გამოიჭრისო. დიდ ღვთისწყალობად ეხლა მარტო ისიც გვეყოფა, თუ სამხედრო ხარჯს აღარა მოემატება-რა და დავჯერდით იმას, რაცა გვაქვსო.

მართლაც, დიდი ღვთის წყალობა იქნება ევროპისათვის, თუ მილიტარიზმი იმ წერტილზე გაჩერდა, რომელზედაც იგი ეხლა სდგას. თუ გერმანიის რეიხსტაგმა მიიღო კაპრივის სამხედრო კანონი, მეორე დღესვე, რა თქმა უნდა, საფრანგეთიც იმდენსავე ხარჯს მაინც გამოიღებს, თუ მეტს არა, რადგან სამხედრო ხარჯის გადიდება პალატისთვის ერთად-ერთი ისეთი საგანია, რომელიც კამათობას არ გამოიწვევს ხოლმე, რაც უნდა დიდ ფულსა თხოულობდეს სამხედრო და ზღვათა სამინისტრო. საფრანგეთსა და გერმანიას არც რუსეთი ჩამორჩება, ამათ სხვებიც წაჰბაძავენ და ასე ამ გვარად მეცხრამეტე საუკუნის დასასრული შეიქნება შეთოფ-იარაღების ციებ-ცხელებად.

ისკანდერ

## ახალი ამბავი

*** ამ ცოტას ხანში ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველი ა. იუ. ფრიდე პეტერბურგს წავა. ამბობენ, იქ მოლაპარაკება ექმნებათ ბაქოდამ ბათუმამდე ნავთის გამყვანი მილი გაიმართოს თუ არაო.

*** ქალაქის გამგეობას განუზრახავს იმ ადგილების ამოვსება მიწითა და ლორღით, რომლებიც მტკვარმა ჩარეცხა. ამის გამო 16 ივნისს გარდაუწყვეტია, ნება მიეცეს ყველას ლორღი და მიწა, ქალაქ გარედ გაზიდვის მაგიერ, დაჰყაროს ვერის ხიდთან ჩასავალში და მადათოვის კუნძულზედ ჩრდილოეთის მხრივ. ვისაც ვერის ხიდზე ლორღისა და მიწის გატარება უნდა, იქვე დასაყრელად, ის ხიდის ბაჟს არ გადაიხდის, ხოლო პირველ გავლაზე ბილეთი უნდა გამოართვას ბაჟის ამღებს და გამოვლაზე ისევ დაუბრუნოს.

*** მიხეილ პ. საბინინის მეცადინეობით მოსკოვის ზოგიერთმა რუსმა და ქართველმა გარეჯის უდაბნოს მონასტერს შემოსწირეს: ოთხი ხელი სამღვდელო შესამოსი, ხუთი მთავარდიაკვნის შესამოსი, ერთი წყვილი დროშა, ერთი მოჭედილი სახარება, ოქროში დაფერილი, ერთი ჯვარი, საცეცხლური; ორი ტრაპეზის გადასაფარებელი ფარჩისა, ოთხი ხელი ანალოის გადასაფარებელი, ხუთი ხელი დაფარნა ბარძიმ-ფეშხუმისა, წმ. დავითის საფლავის ორი ფარჩის გადასაფარებელი, ერთი წყვილი ტრაპეზის შანდლები, ერთი დიდი შანდალი, მარმალილოს ლუსკუმა მამა დავითის საფლავზე დასადგმელი, ხატი მამა დავითისა, გარდამოხსნა და სხვანი.

*** სომეხთა განსვენებულ მწერალის რაფფის ქვრივს განუზრახავს ჩიკაგოს გამოფენაზე გაგზავნა სხვადასხვა ძველის დროის ნივთებისა, რომელიც რაფფის შეუკრებვია. სხვათა შორის, აი რა ნივთებია: ოქრომკედით ნაკერი ტანისამოსი სომხის ქალისა; 3000 ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძის ფული, მეტად ძველის დროისა; ხმალი, რომელიც შაჰაბაზს უჩუქებია ერთ სომეხთა თავადიშვილისათვის; ძველი სახარება ეტრატზედ და სხვ.

*** სოფ. ბაკურციხე (სიღ. მაზ.), 14 ივნისს: მთელს ჩვენ მაზრაში ასე ხშირად არა ერთი სოფელი არ ისეტყვება ხოლმე, როგორც სოფ. ბაკურციხე. აი თითქმის 10—12 წელიწადია მას აქეთ, რაც ყურადღე-

## ფელეტონი

### კახეთში, შამილიანობის დროს.

(დასასრული *)

ალექსასა და თუთას ტყვეობაში ორმა წელიწადმა გაიარა. ერთხელ ალექსის ძილი გაუკრთა და თვალწინ თუთა წარმოუდგა, გუნებაში სთქვა: ოჰ რა მშვენიერია! სწორედ კალმით დახატულია. ის რომ ლაპარაკის დროს ყურებას დამიწყებს, ასე მგონია გულში ისარს მიყრის-მეთქი. აბა თუ იმის სახეს ერთი რამ წუნი ედოს!.. რა სულელი ვარ, ამდენ ხანს არ გავაგებინე, რომ მე იმისათვის მთლად გაგიჟებული ვარ. დილაზედ-კი, ვნახავ თუ არა, ჩემი ნაღვლის გამოცხადება იმის სიყვარული იქნება.

მეორე დღეს ალექსი დილა ადრიან წამოხტა, ცხენს მოუარა და წყალზედ წაიყვანა. რომ მივიდა, თუთა იქ არსადა სჩანდა. გუნებაში სთქვა: კვლავ ის აქ დამხვედრია და დღეს რა ანბავია, რომ ასე დაიგვიანა? დაჯდა მწვანეზედ და ლოდინი დაიწყო. რომ მიიხედ-მოიხედა, თვალ-წინ მშვენიერი სურათი დაეხატა.

კავკასიის დათოვლილი მთები აქეთ-იქიდამ ცამდის მიბჯენილს გალავანს ემზგავსებოდა; დაბლობში ხავერდივით მობიბინე ზურმუხტის ფერი ველები და ათასნაირი ზედ გადაშლილი სურნელოვანი ყვავილები კაცს თვალს აუჭრელებდა.

ალექსი დაფიქრდა და წარმოსთქვა: ოჰ, რა არის, ეს ღვთის ძლიერება? კაცის გონება ვერც მიჰსწვდომია და ვერც მიჰსწვდება იმის ძლიერებას!.. ჩაფიქრდა და მჰმუნვარედ გაიყურებოდა. ეს რომ ამ მდგომარეობაში იყო, დაინახა კიდეც, რომ თუთა ხევში ჩამოვიდა, მხარზედ დიდი კათხა ედგა. იმანაც, რაკი ალერსი აქ დაინახა, უფრო ფეხი გამოაჩქარა. ახლო რომ მოვიდა ალექსიმ უთხრა:

— რაღაც მიზეზი უნდა იყოს, რომ შენ ასე დაიგვიანეო. თან შეხედა და შენიშნა, რომ თუთას ნამტირალევი თვალები ჰქონდა და ჰკითხა:

— რა იყო, გცემეს?

— ნეტავი სულ კეტი დაემტვრიათ და მე ეს-კი არ გამეგო.

— რა, შენი ჭირიმე, რა?

— ესა რომ წუხელ ვიღაც ლეკი მოუვიდათ, ანბობენ, ხუნძახის ნაიბიაო. მე რომ მნახა, რაღაც ღრეჭა დაიწყო, მერმე თუნის ჩუმად ელაპარაკა და მე გამომყურებდნენ. ბოლოს მარეხა გამიტყდა და მითხრა: ეს ნაიბი შენ ცოლათა გთხოულობსო. მე უპასუხე: თავს მოვიკლავ და მაგას-კი ცოლად არ გავყვები-მეთქი. გაიცინა მარეხამ და მითხრა: შენ ვინ გკითხავს, ეგ ჩვენი საქმეა; იცი ურადში რამდენს საქონელსა და რაგინდა არასა გვპირდება? ნაიბი რომ მიდიოდა თუნის დაუძახა: ერთ კვირაზე აქა ვარო. და აბა ახლა იფიქრე, რა გუნებაზედ ვიქნები?

ამის მომსმენს ალექსის თავზარი დაეცა და სთქვა:

— მაშინ მე ალექსი აღარ ვიქნები.

— შენ რაღა ძალა! შეიძლებ?

— თუ შენ ჩემ მხარეს დაიჭერ...

— როგორ შენ მხარეს? ვერ გავიგე.

— სწორედ უნდა გითხრა, ბევრი გზობა მოვინდომე, ჩემი უზომო სიყვარული შენთვის გამემხილა, მაგრამ მეშინოდა, ვაი თუ გაჯავრდეს და ნახვაც ამიკვეთოს-მეთქი. ეხლა-კი რადგან ეგ მიზეზი მომეცი, აღარ დაგიფარავ. მე წუხელვე გუნებაში გადავჰსწყვიტე, რომ დღეს მეთქო: თუ შენი ნებაც იქნება, მე ქმარი და შენ ცოლი.

ამის გამგონი თუთა გაწითლდა, აიტკრიკა და დიდხანს ხმა ველარ ამოიღო, შემდგომ ამოიოხრა, ცრემლები გადმოუშო და სთქვა:

— ჩვენ ეხლა, ცოლ-ქმრობას და სიყვარულს ვინ გვაკითხებს, თორემ?!.

— როგორ თუ ვინ? რაც უნდა ტყვე ვიყო, ჩემი გულის უფალი მე ვარ, სიყვარული ბუნებითია, როგორც ტირილი და სიცილი.

— ეგ მართალია, მაგრამ შენი გულის უფალი შენა ხარ და შენი უფალი—ის, აბა რა ძალა შეგვიძლიან?

— აი, რა: მე ვისთანაცა ვარ, ნდობა დავიმსახურე, განგებ იმათ თვალ-საჟერად, ვითომ მაგათი სჯული მივიღე, იმათებურად ვლოცულობ ხოლმე; ცხენის ხორცი მაჭამეს და დავარწმუნე, რომ მე აქ მირჩევნია და ჩემს ქვეყანაში, რომ მეხვეწოთ, აღარ წავალ მეთქი. ნაიბს ერთი ჟამი ქალი ჰყავს თავის გუნებით ცოლათ იმას მაძლევს და მითომ მეც მიხარიან. ის-კი არა თუ ჩემი განზრახვა სხვა არის, დრო ვიპოვნო როგორმე, გავჰკრა ფეხი და წავიდე. ეხლა მეტადრე რაკი ასეა, შენც წაგიყვან და გავსწიოთ ჩვენს ქვეყანაში.

— მე, მანამ მამიჩემის სისხლს არ ავიღებ, ვერსად წავალ. ალექსიმ გაოცებით უთხრა:

— მერე, შენ რა სისხლის აღება შეგიძლიან? გაიღიმა თუთამ და სთქვა:

— ეგ მე ვიცი.

— ერთი, ნუ ყმაწვილობ და, ჩვენ ამაზედ მოვილაპარაკოთ, როდის გავიპარნეთ? რომ დანიშნულ დროს აქ ერთად შევიყარნეთ და გავსწიოთ კიდეც, მე დათიასაც ვეტყვი.

— თუ მაინც და მაინც მაგრე იქმნება, ამ ერთ კვირაში უნდა იყოს, თორემ მართლა რომ ის ნაიბი მოვიდეს?

— ამსამ დღეზედ კარგად მოვახერხებ, რაც მინდა, და სწორედ მეთო-

*) იხ. «ივერია», № 126.

...მას ვაქცევთ ასეთს საოცარ ბუნების მოვლენას და ვერ გაგვიგია, რა მიზეზი უნდა იყოს, რომ წელიწადში სამჯერ მაინც არ მოვიდეს სეტყვა. აი რა და რა დროს მოდის სეტყვა: პირველად, ვაზები რო კვირტს გამოიტანს; მეორედ, როცა დაისხმდება და მესამეც, როცა ყურძენი მოიწევა. აი, მაგალითად, წელს ჩვენს სოფელში ორჯელ მოვიდა სეტყვა, ერთი 6 ს აპრილს იყო და მეორეც ამ თვის 4-ს. ზარალი დიდი მოგვცა, მაგრამ ვინ გვიზღავს? ნეტავი ამას დაგვაჯეროს და აღარ გვეწვიოს. მალე მაინც დაარსდებოდეს სეტყვისაგან დამზღვევი საზოგადოება, რომელზედაც კარგა ხანია ლაპარაკი ისმის და საქმით-კი არა სჩანს-რა.

ჩვენში ქერების მკა დაიწყეს, მაგრამ ავდრებმა ცოტა დააზარალა, პურის ფასი ჯერ-ჯერობით მაინც 1—60 და 1—70 კაპიკია ფუთზე. ამ დროს ასეთი სიძვირე არ გაგონილა.

*** ს. ხუმლაგა (კავკავის მაზრა): ინსპექტორი ქრისტიანობის აღმადგენელი-საზოგადოებისა არხიმანდრიტი მამა ლეონიდი გვეწვია წელს, სკოლების სარევიზიოდ. მამა არხიმანდრიტი ყველა სოფლებში ხალხის ურიგობას ახდენინებდა და თავისებურად ტკბილის მამაშვილურის საუბარით ურჩევდა სკოლას ერთგულად მოეკიდეთო, გზავნეთ თქვენი შვილები სკოლაშიო, თორემ ღვთის წინაშეც პასუხის მგებელნი იქმნებით და დიდი ხეირიც არ დაგეყრებათო. ეხლანდელ დროში უსწავლელი კაცი არსად არის გამოსადეგი და ყველგან ყველა საქმეში უკან არის ჩამორჩენილიო. ხალხი დიდის სიყვარულით ისმენდა მამა არხიმანდრიტის საუბარს და ბევრგან აღუთქვეს სასწავლებლის დაარსება თავიანთი ხარჯით.

*** იქიდგანვე: ხუთს ამ თთვეს ხუმლაგაში მცხოვრებთ კაზნა ბედოევსა და ბადაყო გუკაევს მოუვიდათ ჩხუბი. ჩხუბი იქამდის გამწვავდა, რომ ხანჯლების ტრიალზედ მიდგა საქმე; ბოლოს, ხანჯალი დასცა გუკაევმა ბედოევს ბეჭებში და მძიმედ დასჭრა. ბედოევს ძმები მიეშველნენ, დაუშინეს ქვები და კეტები და გუკაევს თავი გაუტეხეს.

*** სოფ. სამწევრისი (გორის მაზრა): რამდენიმე კომლი აქ დიდს გაჭირვებაშია უპურობის გამო. ამ საწყლებს, თთვე მეტი იქნება, რაც ჭირნახული შემოჰკლებიათ და ხელი ვერავისგან გაუმართნიათ. მართალია, სოფ. ქარელში ბევრი პური აქვთ გასასყიდი ურიებს, მაგრამ ხუთ მანათს ფეხს არ უცვლიან და სად უნდა იშოვნოს ხუთი მანათი იმ გლეხკაცმა, რომელსაც პერანგი არ აცვია ტანზედ.

წარმოიდგინეთ, ამ საშინელ გაჭირვების დროს სოფ. სამწევრისის მალაზიაში ორმოც კოდამდინ პური აქვთ და მაგრა დაუკეტ-დაუბეჭდიათ, არავის აძლევენ სესხად.

*** სოფ. ოლგინსკი (კავკავის მაზრა): წარსულ მაისის მიწურულებში, ოლგინსკაში მოჰკლეს ერთი ქურდი ქისტი. ამ თთვის პირველ რიცხვებშიაც მოუხდნენ ქურდები ოლგინსკას მცხოვრებთ. ამათ მალე გაიგეს, ქურდები გაიქცნენ და მდევარი დაედევნა. მამასახლისი ცხენდა-ცხენ წამოეწია, თურმე, ერთს ქურდს და, როგორც წასწვდა დასაჭერად, მოუბრუნდა ქურდი (ფეხით ყოფილიყო), იძრო ხანჯალი და ცხენზედ მჯდომს მამასახლისს ძირიდგან აუქნია. მამასახლისი ცხვირში და წარბში მსუბუქად დასჭრა ქურდმა და თვითონ-კი მდინარეში შევარდა და გაჰქრა.

ტოიყაში ერთი ქისტი სიმინდით სავსე ურმით მოიტაცა მდინარე კამილევკამ და დაარჩო ექვს ამ თთვისა; დამრჩვალი ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** სოფ. ომისი (დუშეთის მაზრა): ბედმა გვიმუხთლა... ჭირნახულების იმედზე ვიყავით და იმანაც-კი პირი იბრუნა. ჯერ იყო და, მაისის სეტყვამ შესანიშნავი ვნება მოგვცა, მერმე ხომ აპრილის დასაწყისიდან ამ თთვის ერთ კვირამდე შეუწყვეტელმა წვიმებმა გაგვიჭირეს საქმე; ხშირმა ავდრებმა ააბალახეს ჭირნახულები, ასე რომ, თუ გაზაფხულის დასაწყისს სიხარულით შევსცქეროდით ჯეჯილებს და ვიმედოვნებდით, დღიურზე ოცდაათი კოდი მოგვივაო—დღეს, სეტყვისა და ხშირ წვიმების წყალობით, აღარც ათის იმედი გვაქვს. სადაც კი ხევებში ან ფერდობებზე სათივე ვისმე ჰქონდა, ან ჭირნახული—სულ ნიაღვრის წყალმა წაიღო. თივა თუმცა უხვად არის მოსული, მარამ ისევ ავდრების წყალობით მშრალად ვერ ინახება. თუ ამ თთვემაც ბოლომდე ავდრებით გასტანა—„მშვიდობით, ცოლო და შვილო“!...

*** იქიდამვე: ქურდ-ბაცაცების ავკაცობას ბოლო არ მოეღო და მოსპობის საბოლოოდ „მსხვილ-ფეხოვანთა“ ქურდობით შეიცვალა. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ხელობა ჩვენს სოფელში ისე გაძლიერდა, რომ აღარაფერს აღარ ზოგვენ. ამ ერთის თთვის განმავლობაში გატყდა ერთი სახლი, „ღამის ხარიდგან“ დაიკარგა მთლად ერთი გუთნეული ხარ-კამეჩი; გატყდა ერთი მარანი, წისქვილი, სამრევლო ეკკლესია და წვრილ-ფეხობის ნავარდობას ხომ რიცხვი არა აქვს. ეკკლესიიდგან გაიტანეს: ორი ვერცხლის კოვზი, ერთი ვერცხლის თასი და სამი მანათი, არამც ჩვენს სოფელში—მთელ მაზრაში ბოროტ მომქმედნი დღითი-დღე მრავლდებიან და ძლიერდებიან. საზოგადოება დიდს ფიქრსა და საგონებელშია ჩავარდნილი. კარგი იქნება ამ სამწუხარო გარემოებას ყურადღება მიაქციოს, ვისაც ჯერ არს.

*** სოფ. პატარძეული (ტფილისის მაზრა): არ გაგონილა და არცა თქმულა ესეთი წყალდიდობა, როგორიც წელს არის. თიბათვის ცამეტს აქ ისე ადიდდა იორი, რომ აქაურს გუთნისდედებს და მომუშავე ხალხს ვერ შეეძლოთ გასვლა, ვერც ცხენებით და ვერც ურმით; რადგანაც გასვლა შეუძლებელი იყო, მთელი ივრის პირი ხალხით იყო სავსე. ზოგმა გლეხებმა ცხენებით დაიწყეს სიარული წყალდაწყალ, რომელშიაც ფონი უნდა ეპოვათ და ისე გასულიყვნენ. ამ დაფონვის დროს კინაღამ ერთი უბედურობა არ დატრიალდა; გლეხი ივანე გაბიდაური ცხენიდგან გადმოვარდა და კინაღამ დაირჩო, ხალხი რომ არ მიშველებოდა.

პატარძეულში მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. ბაღოხი ბლომად არის. ვენახებს თხლად ასხია; სხვა და სხვა ხეხილები მშვენივრად დაკუნწლულია.

*** გუშინ რკინის გზით გაუტარებიათ სპარსეთისკენ 12 ზარბაზანი და 3000 ახალის სისტემის თოფი სპარსეთის ჯარის შესაიარაღებლად. (Кавказъ)

## წერილი კახეთიდან.

თავად-აზნაურობამ რომ გაათავა ლაპარაკი და სჯა იმ საგნების შესახებ, რომელიც წინა წერილში მოვიხსენიეთ *), და კრება დაშლას აპირობდა, სწორედ ამ დროს წამოდგა თავადი გ. მაყაშვილი და პირდაპირ ჰკითხა თავადს ილია ჭავჭავაძეს: ნუ-კი მიწყენთ უადგილო და უდროვო კითხვისათვის და გთხოვთ მიბრძანოთ, მართალია, ვითომც ბანკი მოგებასა და წაგებას შუა ტოკავს და ვითომ თქვენ გინდოდეთ სათავად-აზნაურო სკოლის დაკეტვა?

ამ კითხვამ შეაფერხა საზოგადოება, და თვით თავად ი. ჭავჭავაძის სახეზედ გამოიხატა ფრიადი მწუხარება, ეგონებოდა კაცს, საშინელს გვემას და ტკივილს ჰგრძნობსო. რამდენიმე წამმა დუმილით გაიარა. ეს, მგონია, თვით ჯოჯოხეთის წამები იყო თავად ილია ჭავჭავაძისათვის.

„ეგ, ბატონებო, დაიწყო თავად ილია ჭავჭავაძემ, ისეთივე ჭორია, როგორც არა ერთხელ გაგიგონიათ; მაგრამ მავნებელი ჭორი-კი არის. ჭორია ბანკის შეტოკებაზედაც ჲ სკოლაზედაც. ბანკს თავი დავანებოთ, იმას თავისი ანგარიში აქვს, ვისაც სიმართლის შეტყობა უნდა, კიდეც შეიტყობს. მოგახსენებთ მხოლოდ სკოლის შესახებ. განა თქვენ ვერ ატყობთ, რომ ეგ ჭორია. განა შეიძლება მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს იყოს ვინმე განვითარებული-კი არა, სრულიად არაფრის მცოდნეც, რომ რომლისამე სკოლის დაკეტვა უნდოდეს?

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან, [illegible] სარგებლობას ელოდნენ, ვიდრე გამოცდილებამ დაგვანახა. ახლა ცხადად ვხედავთ, რომ დიდ-ძალი ფული იხარჯება ამ სკოლაზედ და სამაგიეროდ ცოტა რამ სარგებლობა მოაქვს. მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება, და ქართველობა ორს ნაწილად გაიყო: ერთი ნაწილი ამბობს, რომ ჩვენ გვესაჭიროებიან უმაღლესად განათლებულნი კაცნი, არა გვყავს კარგი ტეხნიკები, ექიმები, ინჟინერები, მასწავლებლებიო. ამისათვის საჭიროა, ჩვენს შვილებს გიმნაზიური განთლება მივსცეთ და უნივერსიტეტებში ვგზავნოთო. გიმნაზიაში შესასვლელად კიდევ საჭიროა ჩვენის შვილების მომზადება, ამისათვის მოსამზადებელ სკოლად უნდა იყოს სათავად-აზნაურო სკოლაო.

მეორე ნაწილი ამბობს: ჩვენ ჯერ პური არა გვაქვს საკმარისი ბეღელში, ჯერ პური გავიმრავლოთ და მერე უნივერსიტეტების სწავლით აღვფრთოვანდეთო. ქვეყანამ ისწავლა მიწის შემუშავება, შეიმსუბუქა შრომა, ჩვენ-კი ისეთს საშვალებასა ვხმარობთ მიწის შესამუშავებლად, როგორსაც ხმარობდნენ 1000 წლის წინად. მიწას ძალ-ღონე გამოელია და ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევთ, არაფერ ღონის-ძიებას არა ვხმარობთ. ყველამ შეიტყო, როგორ შეიძლება მცირე მიწიდგან მცირე შრომით დიდის ნაყოფის მოღება და ჩვენ-კი ეს ვერ შევიგენით. ჩვენ არავითარი ცოდნა არა გვაქვს ამ მხრივ. ამისათვის საჭიროა ისეთის სკოლების დაარსება, რომლებშიაც ასწავლონ ჩვენ შვილებს, როგორ და რანაირად შეიძლება მცირე შრომით დიდის ნაყოფის მიღებაო. ამისთანა სკოლებში ნასწავლები ისე ბარგად აღარ აეკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სკოლებში სწავლა დამთავრებული. რამდენი უნივერსიტეტელი ვიცით, რომ ოჯახის შესანახი გამხდარა. თვითონ მე უნივერსტიტელი გახლავართ და ხვალ რომ სამსახურიდგან გამოვიდე, მშიერი მოვკდები. რათა? იმი-

*) იხ. ივ. № 126

---

...ეს დღეს, რომ დაბინდდეს ორნივ აქ ვიყვნეთ.

— კარგი, მაშ მაგრე. უთხრა თუთამ და წასვლა დააპირა.

— მოიცა, ჯერ ხელი მოიტა.

— მერე, რად გინდა?

— აი რად, ეს ბეჭედი ჩემგან ნიშნად გქონდეს, რომ ვიცოდე ამას იქით შენ ჩემი ხარ. გამოიძრო ვერცხლის ბეჭედი და თითზედ გაუკეთა, მერმე საკოცნელად მისწვდა.

— ოჰ, რას შვრები, ალექსი, რომ დაგვინახოს ვინმემ.

— ამას იქით ჩემთან ყოფნით შენ ყველავისთან გასწითლდები.

ამ დროს უეცრად დათია თავს წამოადგა და დაიძახა,—მართალს ამბობო. თუთამ თქვა სიცილით:

— აბა ამასაც გავაგებინოთ რაღა, რომ ამ სამ დღეს უკან მივდივართ, დაემზადოს. დათიამ მიუგო:

— შვილო, მე რა დამზადება მინდა, ეს ერთი ტყაპუჭა მაქვს და ზედ მაცვია.

— ხმიადები არ გინდა? რომ მოგშივდეს? უთხრა თუთამ, კათხას წაავლო და გასწია. წყალი რომ მიიტანა, თუნიმ, მარეხამ შეტევით უთხრეს: სადა გდიხარ აქამდისა? რაკი წახვალ, მოსვლა აღარ არის. როგორც ეტყობოდათ, სადილი ეჭამათ და დაქუცმაცებული ხმიადების ნამტვრევები იმას მოუყარეს; თუთა შედიოდა თუ გამოდიოდა, სულ ფიქრში იყო გართული. ალექსი ამას იმ დღიდგან მოსწონდა, რა დროსაც ფეფიკოს ქორწილში ენახა, და ძმასავით მიაჩნდა იმის გამო უფრო, რომ მაშინ, თუთას ლეკი რომ იჭერდა, ეს მიეშველა, არ ანებებდა და ამის მიშველებაში მკლავში დაიჭრა და მერე ხომ კიდეც დაიჭირეს.

ეხლა თუთას სულმა სულ სხვა რამ ძალა იგრძნო. დასაძინებლად რომ დაწვა, თვალებში ალექსის სახე ედგა. აქამდის ამას არც-კი მოჰგონებია ალექსი ლამაზი იყო თუ გონჯი, მაგრამ ეხლა მშვენიერთა მშვენივრად ეჩვენა. თითო იმის სიტყვა გულში ცეცხლის ალივით უვლიდა და თუთა თავის გუნებაში ამბობდა: თუ აქედამ თავი დავახწიე და ალექსი შევირთე, ჩემისთანა ბედნიერი ვილა იქნება?... თუთას წყალზედ აღარ მიუხაროდა, იცოდა, რომ პაემნამდის ალექსი იქ აღარ მივიდოდა.

მესამე დღეს მარეხა რომ ადგა, თუთას უთხრა:

— ძროხა მოწველე, ხმიადები დააცხე, ყველი კათხაში ძევს. ამათ რომ სადილი აჭამო, მეც მინდორში წამომიღე, სათიბათ უნდა წავიდე. თუნიმ დაუძახა:

— დილას აქეთ გვერდში ძალიან მჭვალი მადგას, ნაცარი ამიფშრუკე, დავიდო და ისე წადი. მარეხამ უპასუხა:

აი, თუთა აქ იქნება და ეს ვერ გაგიცხელებს? მე მეშურება, ეგებ დღეს მოვრჩე:—სათიბელი აიღო და მინდვრად გაჰსწია. თუნიმ ტყავი წაიხურა, მიწვა და თუთას უთხრა:

— აბა მაშ, ჩქარა! თუთამ ნაცარი გაუცხელა, შალის ნაგლეჯში ჩაჰყარა და მიაწოდა. თუნიმ ეს ცხელ-ცხელი მიიდო, სადაც ტკივილსა გრძნობდა. ეტყობოდა, რომ გაუყუჩდა და ჩაეძინა. თუთამ ხმიადები დააცხო, ბალღებს მოუმტვრია, მოდიდო გოგოსა და ბიჭს მარეხასთან სადილად გაატანა და დააბარა:—მე აქ მალმალ ნაცარი უნდა გაუცხელო-თქო. წვრილი ბალღები სათამაშოდ გაცვივდნენ. თუთამ მიიხედ-მოიხედა და გულში გაუარა: არა, მე ამისთანა დროს სად ვიშოვნი, თუ მინდა, რომ მამიჩემის სისხლი ავიღო, აი, სწორეთ დრო ეხლა არის... ჯერ მივიდა და თუნის ახალი ჩოხა და შალვარი კაჭოდან ჩამოიღო და ჩაიცვა, იმისავე ქუდი დაიხურა და კარები ჩაჰკეტა.

თუნი ღრმად ხვრინამდა. თუთამ მოიტანა ცული, ორჯელ აიღო მაღლა და ჩამოიღო, ხელი გაივარჯიშა, რომ ერთის დაკვრით თავი მოეშორებინა. მერმე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აჰსწია ცული და დაუშო... ყანყრატო მთლად გაკაჭრა. თუნიმ ერთი თვალები გააჭყიტა და წამოხტომა მოინდომა, მაგრამ ისევ დაეცა და სისხლი ღვარ თქაფად გადმოედინა. თუთამ გულის ფანცქალით ჰკრა თავი და გარედ გამოვარდა, ეგონა, ეს არი უკან გამომიდგა და დამიჭირიაო. ჩაიჭრა წყალზედ, ხელ-პირი დაიბანა, გულიც დაიმშვიდა და გაჰსწია იმ სახლთან, სადაც ალექსი ეგულებოდა. იქიდამ უშველებელი ძაღლები გამოცვივდნენ და შეიქნა ყეფა. სახლიდან ერთი დიდის ბიჭი გამოიქცა და ჰკითხა:

— ვინა ხარ? რა გინდა? თუთამ უპასუხა:

— ალექსიმ ჩემგან ნაბადი იყიდა და ფული არ მოუცია, უთხარ აქ მოვიდეს. ბიჭი გაიქცა და ეს ამბავი ალექსის აცნობა. ალექსიმ ნეკზედ იკბინა და მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო, თუმცა დანიშნული დრო მეორე საღამო იყო. ამ შუაღლისას და ერთის დღის წინ რა მოხერხდებაო, გაიფიქრა და გაუკვირდა თუთას უდროვოდ მისვლა. ალექსიმ, ბიჭი რომ მოეშორებინა, უთხრა:—მე დამავიწყდა, ცხენს ვერ გადავუნაცვლე, იქ მივალ და, თუ ნაიბმა მიკითხოს, ასე მოახსენე. ამას თავის რაგინდარა დამზადებული დერეფანში მიმალული ჰქონდა, აიღო და ორთავ ხმა ამოუღებლათ გასწიეს, სადაც ალექსის ცხენი ეგულებოდა. საჩქაროდ აუშვა ცხენი, გადაკაზმა, შესვა თუთა, შემოუჯდა უკან და გაუდგნენ გზას. რამდენიმე უცნობი ლეკები წინ შეხვდნენ, მაგრამ რას იფიქრებდნენ, რომ ასე შუაღლისას ესენი მიიპარებოდნენ. სერზედ რომ აიარეს, დაინახეს დათია თივასა სთიბ-

ტომ რომ ჩინოვნიკობა მისწავლიაო და, სხვა არაფერი. ჩემთვის რომ მიწის შემუშავება ესწავლებინათ, ჩინოვნიკადაც გამოვდგებოდი და უჩინოვნიკობოდაც მშიერი არ ვიქნებოდი.

თავადი გ. ჯახჯახაშვილი. ვინ უნდა გვასწავლოს მიწის შემუშავება.? მერმე იმათ ჩვენზედ კარგად იციან? აბა მაჩვენეთ ეგ თქვენი უჩიტლები, რომელი მჯობებს მე? დაანებეთ თავი, ბატონო, იმ სკოლას, პატარა გონებაში ჩაიდონ რამე ჩვენმა შვილებმა. მიწის შემუშავებას მე-კი ვერ ვასწავლი?

თავადი ილია ჭავჭავაძე. ეგრე არ არის, ბატონო. ჩვენ რომ არა ვიცოდეთ, იმათ რას ვასწავლით. მართალია, ჩვენ ბევრი არავინა გვყავს მცოდნე მეურნეობისა, მაგრამ ფულით ყველაფერი შეიძლება. სათავად-აზნაურო სკოლას, რაც დაარსებულა, ორმოცი ათასი თუმანი მოჰხმარებია თავად-აზნაურობისა. ეს ნახევარ მილიონის ოდენა ფული რომ სამეურნეო სკოლაზედ დაგვეხარჯნა, ახლა ათასობით გვეყოლებოდნენ მეურნენი.

თავადი გიგ. ჯახჯახიშვილი. მე მოგახსენეთ, რომ თვითონ მასწავლებლებმა არა იციან-რა, ჩვენს შვილებს რას ასწავლიან? გვიჭირს-კი, გვიჭირს, მაგრამ საიდამ იშოვნით მცოდნე კაცებსა?

თავადი ილია ჭავჭავაძე. საიდამ ვიშოვნით? ყოველ წელიწადს სათავად-აზნაურო სკოლაზე იხარჯება სამი ათას ხუთას თუმნამდინ. ამ ფულით ათ მეცნიერს მოვიყვანთ საფრანგეთიდამ. ფული იყოს, თორემ მცოდნე კაცებს ბევრს ვიშოვნით.

მეც ამ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, ვიდრე ახლანდელ სათავად-აზნაურო სკოლას. რადგანაც ჩემს შეხედულობას არა ვმალამ, ვამბობ ყველგან, სადაც-კი შევხვდები, და აი ამაზედ გამომიგონეს, ვითომ მე სკოლების დაკეტასა ვცდილობ. საკვირველია, მშიერს კაცს ეუბნებიან, ეცადე, ბოზბაში იშოვნოო. ბატონო, ჯერ პური იშოვნოს და მერე ბოზბაშზედაც იფიქრებს. თუ არა, მანამ ბოზბაშს იშოვნის, იმას ნაწლევები გაეწურება, თან გადაჰყვება, მერე ვეღარც ბოზბაში უშველის, ვეღარც ბოზართმა. ჩვენ ახლა ამ მშიერ კაცის მდგომარეობაში ვართ, გვინდა ჯერ სამეურნეო ცოდნით კუჭი მოვიმაგროთ, მიწაზედ მაგრა ფეხი მოვიკიდოთ და მერე უნივერსიტეტის ცოდნით დავსტკბეთ, მეცნიერი კაცები შევიძინოთ. ეს, რაც მე დღეს მოგახსენეთ, სკოლის დაკეტას ნიშნავს, თუ სკოლის გაღებას? ორში რომ უკეთესი ავირჩიოთ, რა გასაკვირველია. მე რომ მითხრან, სერთუკის მაგიერ ჩოხა ჩაიცვი, უფრო მოგიხდებაო, განა ეს ჩემს სიკვდილსა ჰნიშნავს? ეს ის იქმნება, რომ სხვა სახეს მივიღებ. აგრეთვე იქმნებოდა სკოლის საქმეცა.

„მართალი ბრძანებაა, მართალი!“ დაიგრიალა იმოდენა ხალხმა, და მას შემდეგ ხმაურება აღარ შეწყვეტილა. ამავე ხმაურობით საზოგადოებამ სთხოვა თ. ილია გრ. ჭავჭავაძეს სადილად და მალე ეზოში მოგროვილი ხალხი ილიასთან ერთად წამოვიდა, ესრედ წოდებულს, „ჭანდრის“ ქვეშ.

ნადიკვრელი

## ბაქოს ნავთი.

ნავთის მწარმოებელნი მეტად შეაფიქრიანა იმ ამბავმა, რომ ნავთი საზღვარ გარედ ვეღარ გაუგზავნიათ, რადგანაც იქ ამერიკის ნავთი მეტად იაფია, და შინ იმდონი არ იხარჯება, რამდენიც მიწიდამ ამოდის.

ჯერ იმ ნავთისათვისაც ბაზარი ვერ მოუპოვიათ, რომელიც უკვე ხელთ აქვთ, ბევრი ვერც-კი წაუღიათ სადმე, რადგანაც რკინის გზა და გემი ვერ ასდის; ბევრი ნავთი ტყუილადაც იქცევა, რადგანაც არც სამყოფი ჭურჭელი აქვს ვისმე და არც თუ მოწყობილობა, რომ ნავთის შადრევანი შეაჩეროს და გამოიზოგოს, ერთის სიტყვით ნავთი უხვად არის, გასავალი-კი საიმისო არა აქვს,—და კაცის თვალი მაინც არა ძღება, უფრო მეტი და მეტი უნდა, უფრო ხარბად ჩაჰყურებს დედამიწას და, რომ შეეძლოს, ერთის დაწაფებით შეჰსვამდა და შეწრუპავდა უშველებელ ზღვას ნავთისას. თუ არ სიხარბით, სხვაფრივ რით აიხსნება ის გარემოება, რომ დღე-მუდამ ტრიალებს ბურღი და ხვრეტს დედამიწის ზურგს, რომ ნავთმა უფრო ბევრს ადგილას ამოიჩუხჩუხოს წყაროსავით.

ამისთანა წყარო 1888 წელს 227 ყოფილა, 1892 წელს-კი 300. 1888 წელს თვითო წყარო იძლეოდა 1872 ფუთს ნავთს დღეში, 1892 წელს-კი 2,540 ფუთს. ეხლა ხომ, უეჭველია, მეტიც იქნება.

ამ რიგად ბაქოდგან გაუტანიათ ნავთი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1888 წ. | 117 | მილ. | ფუთი |
| 1889 „ | 157 | „ | „ |
| 1890 „ | 176 | „ | „ |
| 1891 „ | 194 | „ | „ |
| 1892 „ | 213 | „ | „ |

ამოდონა ნავთს გასაღება, უნდა და გასაღებაც იმ ქვეყნებში შეიძლება, სადაც გემი მიუდგება, რადგანაც ზღვით გადატან-გადმოტანა უფრო ადვილიცაა და იაფადაც ჯდება.

აი რამდენი გატანილა საზღვარ გარედ:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1888 წ. | 32 | მილ. | ფუთი |
| 1889 „ | 41,8 | „ | „ |
| 1890 „ | 46,8 | „ | „ |
| 1891 „ | 47,9 | „ | „ |
| 1892 „ | 50,6 | „ | „ |

ჯერ ასე აიწია ნავთის საქმემ, ამოდონა ნავთი სადდებოდა საზღვარ გარედ და ამ ბოლოს დროს-კი ერთბაშად შეფერხდა. ამერიკის ნავთი მეტად გაიაფდა დასავლეთ ევროპაში. ამის მაგალითად მოვიყვანთ ლონდონის ბაზარს. აქ, ამ ორის თვის განმავლობაში, ფუთი ამერიკულ ნავთისა ისყიდებოდა 44,2 კაპ. ოქროთი, ანუ 67,8 კაპ. ქაღალდის ფულით.

ამ ფასად ბაქოს ნავთის გასყიდვა შეუძლებელია, თვით პატრონს მეტი უღირს. ჯერ მარტო წაღება ბაქოდგან ლონდონამდე სწორედ იმდონივე ჯდება, ე. ი. 67,8 კაპ. (ბაქოდგან ბათუმამდე 21,1 კაპ. და ბათუმიდგან ლონდონამდე 45,7 კაპ. ქაღალდის ფულით). სხვა ათას ნაირი ხარჯი საიდგან უნდა აინაზღაუროს მწარმოებელმა.?

ეს ხარჯი მთლად შინაურებს აწვებათ, რუსეთში მცხოვრებთ. ამისათვის მწარმოებელნი სცდილობენ, რაც შეიძლება, მეტი ნავთი შინვე გასაღდეს და ამ შემთხვევაში როგორღაც ბედი სწყალობთ, ნავთს აქ თანდათან მეტი გასავალი აქვს. აი რამდენი გაყიდულა ხუთის წლის განმავლობაში და რამდენი უმატნია:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1888 წ. | 81 | მილ. | ფუთი |
| 1889 „ | 113 | „ | „ |
| 1890 „ | 129 | „ | „ |
| 1891 „ | 144 | „ | „ |
| 1892 „ | 162 | „ | „ |

საზღვარ გარედ ვაჭრობაში ფასების აწევ-დაწევა, სურვილისამებრ, შეუძლებელია. იქ ყოველს მეათედს და მეასედსაც-კი კაპეიკისას დიდი მნიშვნელობა აქვს და მცირედი ფასის აწევ-დაწევაც დიდ ალიაქოთს გამოიწვევს. ჩვენში-კი სულ სხვაა. დღეს რო ფუთი ნავთი მანათად ისყიდებოდეს, ხვალ, შეიძლება, ორი მანათი დაიძახონ და მომხმარებელნი ხმას არც-კი ამოიღებენ, ისე დაემორჩილებიან. მიზეზების კვლევა-ჩხრეკვისა ხომ თავი სულაც არავისა აქვს. ნავთის მწარმოებელნი სწორედ ამითი სარგებლობენ და შინ ისეთს ფასს აწესებენ, როგორიც მოესურვებათ. სწორედ ამ თვით-ნებობით აიხსნება ის გარემოება, რომ ლონდონში აქედგან წაღებული ნავთი თითქმის ორჯერ იაფია, ვიდრე ჩვენში. კიდევ კარგი რომ ჯერ ნავთის მწარმოებელნი ერთმანერთს ეჯიბრებიან, ვერ შეთანხმებულან, პირი ვერ შეუკრავთ, თუმცა ძალიან-კი სცდილობენ, თორემ ნავთის ფასს, უეჭველია, კიდევაც აწევენ აქ, ჩვენში, თორემ საზღვარ გარედ, როგორაცა ვსთქვით, სრულიად არა შეუძლიათ. პირიქით, ის უფრო ადვილი საფიქრებელია, რომ ევროპიდგან ბაქოს ნავთი სრულიად გამოაძევონ, რასაც ძალიან სცდილობენ ამერიკელები. ვგონებთ, ეს აქაურ მამწარმოებელთა აწეწილი საქმე იმითი გათავდება, ადრე თუ მალე, რომ მცირედის თანხის ფირმები სრულიად ხელ-ცარიელნი დარჩებიან, ხოლო ერთი-ორი ისეთი ძლიერი ფირმა, როგორც როტშილდისაა, ამერიკის ფირმებს შეუერთდება და ერთ დიდს, მეტად დიდს ამხანაგობას დააწესებენ.

## წვრილი ამბავი

სოციალ-დემოკრატ[illegible] დღე იზრდება და მატულობს. თვით სოციალ-დემოკრატთა მოთავენიც ძლიერ გულ-დადებით შრომობენ. ურიცხვი ბროშურები გამოდის მათის მამართულებისა და ურიგდება სამკითხველოებს, მუშათა ამხანაგობას, სკოლებსა და ხალხს. ამას გარდა გერმანიაში ამ ჟამად 80 სოციალ დემოკრატიული გაზეთ-ჟურნალია. სოციალ-დემოკრატების უმთავრესი ორგანო „Vorwärts“—40,000 ეგზემპლიარი გადის. მეორე გაზეთს, პროვინციისას „Homburger Echo“-საც 40,000 ხელ-მომწერი ჰყავსო.

— სახელმწიფო სოციალიზმს ფეხ-და-ფეხ მისდევს სხვა-და-სხვა ამხანაგობის დაარსება, გერმანიაში. ამ ჟამად 9,500 ამხანაგობაა. ამათში 5.000 გამსესხებელი, 3,000 სამეურნეო, 1,300 მომხმარებელი, ნოქრებისა და სხვა... გამსესხებელი ამხანაგობანი წელიწადში 7 მილიარდ მარკას ატრიალებენ. მომხმარებელი ამხანაგობანი—250 მილიონამდე.

— იაპონიის ზოგიერთ მხარეებში აღმოუჩენიათ ოქროს მადნები. იოკაგამის ერთს გაზეთში მოყვანილია ამას შესახებ შემდეგი ცნობანი: კორეა კრთად-ერთი კუნძულია, საიდანაც იაპონიელებს გამოუღლეველად გააქვსდათ ოქრო. იაპონიელებმა, აქამომდე როდი იცოდნენ კორეს რომელ მხარეშია ოქროს მადნები. ამას გამოსაკვლევად, იაპონიის მთავრობამ გაგზავნა კორეას ნახევარი კუნძულზედ, იაპონიაში სწავლა მიღებული, ემაწვილები. გამოკვლევამა და გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ სეულ-ჩინ-ჩიტაოს ოლქი ოქროს ქვიშით არის მოფენილი. აგრეთვე უთვალავი ოქროს ზოდებია პინგასა და სხვა ოლქებში. ერთის სიტყვით, გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მთელი კორეა ოქროა, თუ რასაკვირველია, ეს ცნობანი ძლიერ გადაჭარბებულნი არ არიან.

— დიდი რამეა საზოგადოდ ყველა მოღვაწისათვის და კერძოდ მწერლისათვის საზოგადოების თანაგრძნობა-სიყვარულის მოპოვება. ამასთანავე ძნელია თუ მწერალი სტუმვდება თავის მაღლობაში და იმისთანა საგანს ეპოტინება, რომელიც მისთვის მიუწდომელია. ასეთი

—

და, ალექსიმ ხელი დაუქნია და ეს მსწრაფლად იმათკენ გაიქცა. ალექსიმ ჩუმის ხმით უთხრა:—აბა გავსწიოთ. დათიამ სათიბი იქით გადასტყორცნა, მივიდა, ტყავი გადიცო და დაედევნა ამათ უკან. რაკი მთაში შევიდნენ ალექსიმა ჰკითხა დათიას:

— აბა შენ რას იტყვი, ფოხალზედ წავიდეთ თუ ყადორზედ? დათიამ მიუგო:

— ჩემის აზრით ფოხალზედა სჯობს, იქით მალე ჩავალთ.

— არა, მე მითხრეს, გზა გაფუჭდა, ყადორის გზა სჯობსო.

— შენ იცი! ალექსიმ თუთა ცხენიდამ ჩამოახდინა, ცხენს თავი მიანება და ქვევითები გზის ნაპირ-ნაპირ შეუდგნენ მთას, რომ აი წინადამ არ შეჰხვედროდნენ ლეკები და ან უკანიდან არ მოსწევოდნენ. კარგა მანძილი გამოიარეს, დაღამდა და ძალიან ჩამობნელდა, ისე რომ გზა ვეღარ გაავნეს. მაშინ ალექსიმ უთხრა:

— დათიავ, მიდექ-მოდექ, მონახე რამე ადგილი, თავი შევაფაროთ, მანამ ცოტა ღამე გატყდება. დათიამ მალე ფუღურო ხე იპოვნა, დაუძახა ორთავეს, ესენიც მივიდნენ და სამნივე შესხდნენ გვრიტებივით ხეში. მაშინ ალექსიმ თუთას უთხრა:

— რა ენა ჩაგვარდნია, თქვი რამე. არა, პაემნამდის რომ აღარ მოიცადე და შუადღისას გამოიქე, მდევარი რომ მოგვწევნოდა, მერე?

— თქვენ ჩემი ამბავი რომ არ იცით, მაგას იმისთვის მეუბნებით. მოჰყვა თუთა და, როგორც თუნი მოეკლა, უამბო. ამათ ძალიან გაუკვირდათ ქალისაგან ამისთანა გამბედაობა.

როგორც განთიადის ვარსკვლავმა გამოანათა და კიდეც შეუდგნენ გზასა. დათია, რადგან ხნიანი კაცი იყო, დაიღალა შუადღის ხანს და ცოტა უკან დარჩა. ესენი-კი ისეთის ნაბიჯით მიდიოდნენ, თითქო ამათ გზა არა გამოუვლიათ-რაო. უცებ მოსახვევ გზიდამ გადმოიხედეს, საიდამაც კახეთის სოფლები დაინახეს, და ამათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თუთამ პირჯვარი დაიწერა და სთქვა:— ღმერთო! მადლობა შენს მოწყალებასა, რომ კიდევ მღირსე ქრისტიანოს თვალით დანახვა, ეხლა ისე ვარ, თუნდა სახლში ვმჯდარიყო. ოჰ, რა რიგათ გაუხარდებათ საწყალ ჩემძმებს!

— კაჭკაჭივით რომ ეხლა ენა ამოიდგი, მერე ჩემსას რაღას ამბობ, მე ხომ თქვენსა არ მიმიყვან. ჯერ საცოდავ დედაჩემს უნდა დავენახო, მგონია ბევრის ტირილით დაბრმავდა კიდეც. ოჰ ღმერთო! რა ყოფა გვექნება!..

იმ გაზაფხულზედ მთელი რაზმი საბუის თავში ნათლის-მცემელთან იდგა ყადორის გზის საკაფავად. კვირა დღე იყო და რამდენიმე ჯარის-კაცი ტყეში სანადიროდ წავიდა, ზოგმა კურდღელი მოჰკლა, ზოგმა მელა და ამ ნაირად ერთობოდნენ. ალექსიმა და თუთამ სწორედ იმ ადგილამდის მოახწივეს, რომ იმათი ხმაურობა გაიგონეს:

— ესენი სწორეთ ქართველები არიან, ჰოო, ეხლა-კი აღარა გვიჭირს-რა, სთქვა ალექსიმ. პატარა ტავრი-ლა იყო გასავლელი და იქიდამაც მონადირეებმა მოატანეს და, ის იყო ჩვენი მგზავრები ბილიკზედ უნდა გამოსულიყვნენ, რომ მონადირეებმაც დაინახეს ისინი...

იგრიალა თოფებმა...

ერთი თუთას მოჰხვდა და მეორე ალექსის და ორნივ გულდამა დაეცნენ. მოცვივდნენ იქიდამ ჯარის კაცნი, ალექსი ისევ ცოცხალი იყო, რადგან ბარძაყში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი და ისინი რომ ნახა, რუსულად (მსახურობაში ცოტა ესწავლა) დაუძახა:

— ქართველები ვიყავით, რად დაგვხოცეთ? საცოდავს გული შეუწუხდა. ჯარის-კაცნი მიეხვივნენ, ნახეს, რომ ერთი ქალი არის, კაცურად ჩაცმული. და მეორე ქართველი კაცი. მაშინ ერთმა უფროსმა სთქვა:

— აბა, ასე გაუსინჯავად რომ ესენი დახოცეთ, ჩვენი უფროსები ხომ გაგვიწყრებიან.

— ჩვენ ლეკები გვეგონა და შეგვეშინდა, რომ მაგათ არ დაესწროთ. დაღონდნენ, აიღ-დაიღეს, ახლა რაღა ვქნათო, ბოლოს ისევ ერთმა სთქვა:

— მეტი გზა არ არის, ჩვენ ასე მოვიქცეთ: ამათ ხელები დავსჭრათ, ჩავიტანოთ და ვთქვათ: ვითომ ლეკები შეგვხვდნენ, თოფები დაგვიშინეს და ერთი ლეკი ვითომ მე მოვკალ და მეორე თქვენა, მაშინ თქვენც დაგვასაჩუქრებენ და მეც.

ამ რუსებმა თუთას მოსჭრეს მარჯვენა და ის იყო ალექსის მარჯვენა რომ გადასჭრეს, საცოდავმა დაიღრიალა. ამ დროს ის უკან დარჩენილი დათია და რამდენიმე ქართველი კაცები თავს-კი წამოადგნენ. დათიამ, რომ ალექსი და თუთა ამ ყოფითა ნახა, წაიშინა თავპირში და დაუწყო მკვლელთ ჩხუბი:

— არა გრცხვენიათ? ტყვეობიდგან ძლივ თავი გამოახწივეს და თქვენ-კი დახოცეთ, მერე იმასაც არ დააჯერეთ, ცოცხალ კაცს მარჯვენა მოსჭერით. ამის ღრიალი ჩვენის ყურით გავიგონეთ, ეს რა შებრალების მაგიერი იყო? მერე დახედა ალექსისა და სთქვა: ბარძაყში ჰქონია ტყვია მოხვედრილი, თუ-კი პატრონი ჰყოლოდა ამას რა მოჰკლავდა? ბევრი ილაპარაკა, მაგრამ ამის ლაპარაკი ჯარის-კაცთ არ ესმოდათ, და ამათი კიდევ—ამათ. დათიამა და სხვებმა მკვდრებს სამარე გაუთხარეს და საცოდავები ორნივ ერთად დამარხეს...

ბარბარე ჯორჯაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მა-კი ბევრს, ძლიერ ბევრს უბედურს დაატრიალებს ხოლმე; უთვალავს სხვა მცირე ნიჭის პატრონ მწერალთა დაღუპულა, ამ შეცდომით გატაცებით. აგერ ჯერ 1834 წელს მთარგმნის ასულმა, დაასვიქრა პოეტი შტიგლიცის თავის მოკვლამ. გენრიხ შტიგლიცმა 1828 წელს შეირთო ერთი ქონების პატრონი ქალი, შარლოტა ვილჰემტისა. მართალია გენრიხ შტიგლიცი არ იყო მოკლებული ლექსის ნიჭს, მაგრამ ცოლს ეგონა, რომ ქმარი გენიოსთა გენიოსია და მის ალგზნებული ხომ გასაოცარს დასწერსო. მაგრამ გავიდა რამდენიმე წელიწადი და შტიგლიცმა გენიოსობის კვალს ვერ მიაგნო, თუმცა დიდი გულ-დასმით და ენერგიით მუშაობდა. შტიგლიცი ამის გამო მელანქოლიას მიეცა. მისი მეუღლე შარლოტა-კი მაინც არა რწმუნდებოდა და ეჭრიგებოდა იმ აზრს, რომ მისი ქმარი გენიოსი არ არის. შარლოტა ფიქრობდა, რომ შტიგლიცს ესაჭიროება მოულოდნელი, არა ჩვეულებრივი, მწარე სულის მღელვარება, რომ მხოლოდ ეს აღუთოვანებელი გრძნობა მის მეუღლეს ნიჭს გააღვიძებს და გენიოსის აზრს ჩააგონებსო. ამისათვის შარლოტამ თავი მოიკლა. მაგრამ არც ამან უშველა შტიგლიცს...

ერ კიდევ ამ დღეებში მომხდარი თავის კვლა. ეს მოხდა ქ. ვენტერბიურში. ახალგაზდა პოეტმა გერმან სტერმა ჯერ ცოლი მოჰკლა და მერე თვითონაც მოიკლა თავი. ეს მოხდა 9 ივნისს. გერმანმა წერილი დასტოვა, სადაც ნათქვამია სხვათა შორის, რომ კარგა ხანია ვსცდილობ როგორმე დავბეჭდინო ჩემი ლექსები და დრამები, მაგრამ არა მეშველოდა... რას გავხდებოდი, სადაც „ოქროს“ მეტი ფასი და გასავალი აქვს, ვიდრე ჭკუასა და პატიოსნებასაო“.

# დეპეშა

15 ივნისი

**პეტერბურგი.** გუშინ მემკვიდრე ცესარევიჩი ვარშავის რკინის გზით საზღვარს გარედ გაემგზავრა.

**ბერლინი.** გაზეთები ერთხმად იუწყებიან, რომ მეორე არჩევანების მიხედვით, მოსალოდნელია სამხედრო კანონ-პროექტის მომხრეთა უმრავლესობა შესდგესო, მით უმეტეს, რომ შუა-დასის დეპუტატთა ნაწილს ჯერ არ გარდაუწყვეტი, ვის მიემხროს. Vossisze Zeitung-ს-კი ჰგონია, ჯერ დაბეჯითებით არ ითქმის, თუ კანონ-პროექტს მეტი მომხრე ჰყავს, ვიდრე მოწინაამდეგეო. მაინც, როგორც საქმითა სჩანს, პროექტი მიღებულ იქმნება, თუმცა არა იმ სახით, როგორც მთავრობამ წარადგინაო.

17 ივნისი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი სასეირნოდ წაბრძანდნენ ფინლიანდიისაკენ.

**ბერლინი.** მემკვიდრე ცესარევიჩი გუშინ 11 საათსა და 15 წამზედ მიბრძანდა კენიგსბერგში და იქიდამ 5 წამის შემდეგ ბერლინისკენ გაემგზავრა.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ივნისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,56 | 7,59 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 151 | $151^{3}/_{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,02 | 1,04 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 247 |
| -მეორისა | — ,, | — ,, | $224^{1}/_{4}$ |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | $194^{1}/_{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — ,, | 101 | — ,, |
| 5% | — ,, | $100^{1}/_{4}$ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | 101 | — ,, |
| 5% | — ,, | $100^{1}/_{4}$ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემების შავსა ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 52 წ. ალს.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე. ოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში ვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—68)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად შემდეგი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილის . . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი . . . | „ | 50 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი . . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1894 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. . . . | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი . . . . | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. . . . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა . . . . . . | „ | 30 |

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^{1}/_{2}$—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ა. შ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ა. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

ვალერიან გუნიასი

## დრამები და კომედიები

წიგნი პირველი

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აქეთ, არც იქეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

**ფასი 50 კაპ.**

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახების**, **ხეხილიანის ბაღებისა**, **თამბაქოსა**, **სვიისა**, და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების საагენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—46) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი